



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 074/17<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიორგი გიორგაძე (სტუდენტი)

### საქმის ფაქტები

2018 წლის მარტში, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის თაობაზე. დავა დასრულდა საჩივრის ავტორის სასარგებლოდ. ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება რომლის მიხედვითაც საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა: გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის განცხადების წარდგენა სასამართლოში, სააღსრულებლო ფურცლის აღება, აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენა და აღსრულების მიმდინარეობის პროცესში წარმომადგენლობა. ადვოკატს ჰონორარის სახით ჩაერიცხა 900 ლარი. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის მიერ წარდგენილი განცხადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ. ადვოკატს სხვა სახის მომსახურება, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული აღარ გაუწევია, არც თანხა დაუბრუნებია კლიენტისათვის. ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დასრულდა. კლიენტის განმარტებით, ადვოკატმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს სასამართლომ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე, რაც არ აღმოჩნდა სწორი.

### პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში საჩივარი შეიტანა კლიენტმა ადვოკატის დისციპლინირების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე აპეკ-ის 3, 8.6, 8.15 მუხლების დარღვევის გამო.

### სამართლებრივი შეფასება

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2018 წლის 07 ივნისს გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების მიხედვით, საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა: „გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის განცხადების წარდგენა სასამართლოში, სააღსრულებლო ფურცლის აღება, აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენა და აღსრულების მიმდინარეობის პროცესში წარმომადგენლობა აღსრულების პოლიციაში“, ასევე „მოვალეთა გამოსახლება, დავალების შესრულების ადგილი: თბილისის საქალაქო სასამართლო, აღსრულების პოლიცია, უძრავი ქონების მისამართი ...“. ადვოკატმა ნაწილობრივ შეასრულა კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რასაც არც ადვოკატი უარყოფს. ადვოკატი ადასტურებს აღნიშნულ გარემოებას და უთითებს, რომ მან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეასრულა ნაწილობრივ, რადგანაც საჩივრის ავტორის

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5e4bf1a04611f.pdf/092.18%20kerdzo%20sarekomendacio%2024.07.2019.pdf>

ინიციატივით შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაბამისად, სახეზეა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობის ფაქტი.

### **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ ვერ დაადგინა ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტი (აპეკ-ი 8.6), თუმცა დაადგინა ადვოკატის მხრიდან აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განუსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.